ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7466384

ნომერი: AR11088599

თარიღი : 25.04.2025

გაცემის თარიღი : 02.05.2025

გაცნობის თარიღი : 02.05.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ავთანდილის ქუჩა, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 25 აპრილს №AR11088599 განცხადებით მომართა ვასილი ცომაიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს

№5066431 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.037.807 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5073042 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 27 აგვისტოდან 2022 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6317352 ბრძანებით, სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5073042 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 10 თებერვლიდან 2025 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 26 აპრილის №5913348 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 75.0 კვ.მ., საერთო ფართობად - 430.0 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არ არის მითითებული ბინების ნუმერაცია. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ ბინების ნუმერაციის მითითება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 აგვისტოს №5066431 და 2022 წლის 26 აპრილის №5913348 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.